ცნობის ფურცელი

№ 2285 სამშაბათი, 7 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2285

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ №-თან ხელის-მომწერთ ურიგდებათ კალოშების ფირმის „პროვოდნიკის“ განცხადება

ავლაბრის ახალი თეატრი

სამშაბათს, 7 სექტემბერს, 1903 წელს **ავლაბრის ახალ თეატრში**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმ. ნათარგმნი ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, შალიკაშვილი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **ს. სვიმონიძე**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
სამშაბათს, 7 ოქტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: რენე-რადინა, არციბაშევა, კარრი, კალილინა, ლელინა და სხვანი. ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, ევლახიშვილი, შმაკოვი, კლიუზნერი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 8 ოქტ.—„ცარსკაია ნევესტა“, რიმსკი-კორსაკოვისა; 9 ოქტ. ფიგნერის მონაწილ.—„კარმენ“. მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი

იღებს მთხოვნელთა და ყველა იმ პირთ, რომელთაც მასთან საქმე აქვს, რკინის გზების მმართველობის შენობაში, **ოთხშაბათობით** ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-მდე. (3—6.—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიან.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—5)

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

გადავიდა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (4—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საზღვარ-გარედ

იაპონია. იაპონური გაზეთები მოურიდებლივ, აშკარად სთხოვენ და ძალას ატანენ იაპონიის მთავრობას, რუსეთს ომი გამოუცხადეო. გაზეთ „იი შიმპო“ ყოველდღე მრისხანე წერილებსა სწერს რუსეთის წინაამდეგ. გაზეთი „ტოკიო ასაპი“ შემდეგსა სწერს; „რუსეთმა კორეიაში იონ-ამპო დაიჭირა. ჩვენმა მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ მერე ხელად გაჩუმდა. ჩვენი მთავრობა მეტად მძიმედა და გაუბედავად იქცევა. პროტესტი რუსეთის წინაამდეგ მაისშივე უნდა გამოეცხადებინა, იმ დროს, როცა რუსები ის იყო გაჩნდნენ იონ-ამ-პოში. რას აპირობს ჩვენი მთავრობა? როგორ-ღა უნდა უშველოს ამ გაფუჭებულ საქმეს“?

გაზ. „იომიური“ მკაცრად ჰკიცხავს პირველ მინისტრ კაცურას პოლიტიკას: კაცურას სამინისტრო ისე მძიმედ იქცევა, რომ რუსეთი ლამის მთელ შორეულ აღმოსავლეთში გაბატონდეს; მანჯურიას ვინღა ჩივის, ლამის კორეიაც ხელში ჩაიგდოსო. გაზეთი სთხოვს კაცურას: მაგისთანა გაუბედავ პოლიტიკას თავი დაანებეთ და იაპონიის ინტერესები შორეულ აღმოსავლეთში მედგრად დაიცავითო.

გაზეთი „ასახი შიმბუნ“-ი სწერს ამავე საქმის თაობაზე:

„რუსეთს დღემდე არ გაუყვანია ჯარი მანჯურიიდან. რუსეთისა და იაპონიის ომი ეხლა ყველას პირზე აკერია. ყველას ეგონა, იაპონია უსათუოდ ომს გამოუცხადებს თავხედ რუსეთსაო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა და ომზე ტყუილი ლაპარაკი ყველას მოჰბეზრდა. რუსეთმა მთელი მანჯურია დაიჭირა და ცდილობს, იქაური ვაჭრობა და მრეწველობა მარტოკამ ჩაიგდოს ხელში, მაგრამ ვერასა ხდება: არც ფული აქვს, არც საკმაო მუშა ხალხი ჰყავს, ქვა-ნახშირი ხომ სულ არა აქვს. უამისოდ მრეწველობის განვითარება არას დროს არ მოხერხდება. ბევრი ხანი გავა, სანამ რუსეთი რისამე გარიგებას მოახერხებს მანჯურიაში. სულ სხვაა ჩვენი იმპერია: ჩვენი ხალხი სამშობლოში აღარ ეტევა, ჩვენში მუშა ხელი მეტად იაფია, ჩვენის მრეწველობის ნაწარმოებსაც ბაზარი აკლია და შინა გვრჩება გაუსაღებელი. ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილს რუსეთზე კარგად მოვიხმარებთ. ამიტომ ვაჭრობა და მრეწველობა მანჯურიაში უსათუოდ ჩვენ ხელში უნდა იყოს.“

ჩინეთის სამხრეთი ნაწილი ინგლისელების ხელშია: ზღვის პირის ყველა უმთავრეს ქალაქში ინგლისელები ვაჭრობენ. ინგლისელებთან ჩვენ ვერას გავხდებით, იმათთან ბრძოლა უსარგებლო იქნება. სულ სხვაა მანჯურია: რუსეთი ვერც თითონ სარგებლობს მანჯურიის სიმდიდრით და არც ჩვენ გვაძლევს ნებას, რომ მანჯურიაში ვაჭრობა და მრეწველობა გავაჩაღოთ, ჩვენც ვირგოთ და მანჯურიასაც ვარგოთ. ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეში რუსეთისა ნამცეციც არ გვეშინიან. ჩრდილოეთი ამერიკა ამ საქმეში შეუდარებლად უფრო საშიში და მრისხანე მეტოქეა, მაგრამ იმისიც კი არ გვეშინიან. იაპონიას ბევრი არა უნდა-რა. ჩვენ მარტო აი რა გვინდა: ჩინეთის იმპერიის დამოუკიდებლობა ხელუხლებლად დავიცვათ, იქ მხოლოდ ვაჭრობის უფლება მოვიპოვოთ და ჩვენებური უმიწაწყლო ხალხი დავასახლოთ. მაგრამ... სისხლის დაუღვრელად, უომოდ ეს სურვილი არ შეგვისრულდება.

რუსეთმა მანჯურიაში დიდი რკინის გზა გაიყვანა, ახალი ქალაქები ააშენა, მაგრამ ამავე დროს რკინის გზაზე და ქალაქებში იმოდენა ჯარი დააყენა, რომ ჩვენ ვერც კი გავბედავთ მანჯურიაში ვაჭრობას მოვეკიდნეთ: სულ ერთია ჩვენი მეცადინეობა ამაო, უსარგებლო იქნება. ეხლა მანჯურიაში 5 ათასამდე იაპონელი ითვლება, მაგრამ იაპონელების იქ ყოფნას ლაზათი არა აქვს; როცა კი მოიგუნებებს, რუსეთი ხელად გამოჰრეკავს. აბა გაჭრობასა და მრეწველობას როგორ-ღა მოჰკიდონ ხელი! ამას გარდა, 30 წელიწადია, რაც რუსეთის სანაპირო ზღვაში თევზს ვიჭერთ; ეხლა კი რუსეთი ისე გაკადნიერდა, რომ ამასაც გვიშლის. საწყენი ისაა, რომ რუსეთი ვერც თითონ სარგებლობს ამ ზღვითა და ჩვენც ტყუილუბრალოდ გვიშლის ხელსა. ჩვენს მთავრობას ერთს წამსაც არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ჩვენი ხალხი დღე და დღე მრავლდება, საცხოვრებელი ადგილი კი არ ემატება, დღესაც იმდენი ადგილი უჭირავს, რამდენიც ათასის წლის წინად ეჭირა. იაპონიამ უსათუოდ ახალი საცხოვრებელი ადგილი, ახალი ბინა უნდა უშოვოს თავისს ძალზე გამრავლებულ ხალხსა. ამ ადგილისათვის

ფელეტონი

სოხუმის ქალაქის არჩევნები

წერილი სოხუმიდან

გათავდა სოხუმის თვით-მართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები და არჩეულნი დასამტკიცებლად კიდეც წარდგენილ იქმნენ. კანონისა და სამართლის თვალით რო შევხედოთ საქმეს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩეულნი პირნი დამტკიცებულნი იქმნებიან ვისგანაც ჯერარს.

ასე გადაწყდება სოხუმის ბედი თუ ისე, ყოველსავე მომავალი გვაჩვენებს. ამ ჟამად კი საინტერესოდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ, თუ რა პირობებში ხდებოდა ეს არჩევნები; რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ერთი ნაწილი ხმოსნებისა არჩევნების დროს; რა ნაირად იჩენდა ეს ნაწილი ხმოსნებისა ქალაქისადმი გულშემატკივრობას, რამდენად ამართლებდა ამომრჩეველთა იმედებს. ყოველივე ეს, ვიმეორებთ, მეტად საინტერესოა. მით უფრო, რომ ჩვენი ქალაქი ისე დაშორებულია ჩვენის ქვეყნის შუაგულს, რომ ამბავიც კი სისწორით ველარ მიდის. ხოლო თუ ბათუმის გაზეთსაც ყური უგდო კაცმა, თქვენი მტერი, სწორი ბრუნდედ იმას მოეჩვენოს.

იმ ხმოსნებს, რომელთაც ბ-ნს ვ. აბულაძეს თეთრი კენჭი ჩაუგდეს, მოწინააღმდეგე ხმოსნებმა ხმოსნის ევ. მარკოვის მეთაურობით, ცალმხრივობა, მიკერძვა, პარტიობა უკიჟინეს და უკიჟინებენ დღესაც. ხოლო ბ. აბულაძის მომხრე ხმოსნებს მარკოვისა და ამხ. კანდიდატი ზახაროვი რო გაეთეთრებინათ, მაშინ, რასაკვირველია, არც მიკერძვა იქნებოდა და აღარც პარტიობა...

აქ ვეცდებით კარგად გავუშინჯოთ კბილი ამ „პარტიობის“ მტერ ხმოსნების ნათქვამის გულწრფელობას; დავინახოთ, რამდენად იყო მათი მოქმედება კანონიერი და რამდენად უკანონო და დასაგმობი იყო საქციელი ბ-ნ აბულაძის მომხრე ხმოსანთა. დიდი შრომა კი არ დაგვჭირდება იმისთვის, რომ დავამტკიცოთ და დღესავით ნათელ ვყოთ „ჩერნომორ. ვესტნიკის“ სულის ჩამდგმელთა ვერაგობა, მათ მიერ სიმართლის დათრგუნვა, ფაქტების დამახინჯება. არა, ჩვენ ასეთს როლს არა ვკისრულობთ, ვინაიდან ვიცით, რომ

„კუდი ძაღლისა არ განემართების,
არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

ამ ვაჟბატონებმა სოხუმი და სოხუმის ქართველობა გირაო წაღდივით მიგდებულად დაინახეს და რაც უნდათ, იმას გაიძახიან. ჩვენ ისღა გვსურს, ჩვენს მკითხველებს დავანახვოთ წარსულის არჩევნების სურათი უმეტ-ნაკლებოდ და უფერუმარილოდ.

ჯერ კიდევ ხმოსნების არჩევნებამდე ერთის წლის წინად სოხუმში ქალაქის თავად ერთხმად ასახელებდნენ ბ-ნს ტომარას (გვარი გახლავსთ), აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეს. სოხუმელთათვის მაშინ რომ გეკითხნათ, რა ღირსება ჰქონდა ამ კაცს, სინიდისს ქვეშ ვერც ერთი ვერ გეტყოდათ. ყველას გვეგონა, კარგი კაცი იყოვო. ეს კაიკაცობა ტომარასი მანამდე სწამდათ, სანამ თვითონ ტომარამ არ დაუმტკიცა სოხუმელებს, რომ მწარედ სცდებოდნენ და ქალაქის თავად არ გამოადგებოდათ ეს ნაქები და ნადიდები კაცი. სოხუმელებმა ბ-ნს ტომარას როცა თავიანთი განზრახვა გააგებინეს, ამან თავმდაბლად თანხმობა განაცხადა: ქალაქის თაობას ვიკისრებ, მაგრამ ბანკზე ამდენი ამაგი მიმიძღვის, ჩემი ძალ-ღონე იმის წარმატებას შევალიე და როცა საქმე ფეხზე დავაყენე, თქვენა გნებავსთ, ხელი ავიღო, თავი მივანებო. თუ გავეცალე, ვინ იცის ვის ჩაუვარდება ხელში და საქმე უეჭველად დაიღუპებაო. არა, გული მეწვის ამ საქმისათვის და თუ მაინც და მაინც ქალაქის თაობას მაკისრებინებთ, ბანკის თავმჯდომარედაც დავრჩები, ამას თქვენი ინტერესი მოითხოვსო... ამაზე სოხუმელებმა მოახსენეს: კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე, რაკი მაგრე გული შეგტკივა საზოგადო საქმისათვის, ქალაქის თაობაც იკისრე და ბანკიც მზითვად გქონდესო. ეს თქმით კი უთხრეს ბ-ნს ტომარას, მაგრამ გული-გულში მაინც გაიფიქრეს: ღმერთო შეგცოდეთ, და ორ საქმეს ერთი კაცი თავს ვერ გაართმევს, მაგრამ ალბად რუსულ თეთრის სიყვარული აბედვინებსო. რაკი სოხუმის მწყალობელმა ბ-ნმა ტომარამ სოხუმელებისაგან დასტური აიღო და თავისი თავიც დააჯერა—სოხუმელებს ჩემს იქით საშველი გზა არა აქვთსო, მოდი, წლიურ კრებაზე ბანკში ჩემთვის ჯამაგირს მოვამატებინებო, სულ ერთია, ურჩობას ვერავინ გამიწევსო. აიღო და წლიური ჯამაგირი 1,200 მანეთის მაგიერ 2,800 მანეთად გაიხადა და ამის შესახებ მის მიერ შედგენილი მოხსენება წევრებმა სწორედ კრების წინ გაიცნეს, ასე რომ დროც-კი არა ჰქონდათ, კარგად მოელაპარაკნათ ერთმანეთში ამის შესახებ. ამ მოუმზადებლობის და აგრეთვე ზოგიერთ პირთა ვერაგულის საქციელის წყალობით ბ-ნმა ტომარამ გაიმარჯვა. სოხუმელებმა მაშინ-ღა გაახილეს თვალი და დაინახეს ტომარას კაი-კაცობაც. გადასწყვიტეს, ხმოსნების არჩევნებზე მაგიერი პატივი ეცათ ტომარასათვის, დაემტკიცებინათ მისთვის, რომ იმათაც შეუძლიათ გაარჩიონ მტერი მოყვრისაგან. არჩევნებზე საქალაქის-თავო კაცი ხმის უმრავლესობით გაშავდა. ყველა კმაყოფილი იყო მისის გაშავებით და მგონი თვით ტომარაც იძახდა გულში:

„რაც გადაგხდა, დავითაო,
ყველა შენი თავითაო“.

შორის სიარული არ დაგვჭირდება: მანჯურია და კორეია აქვე გვიდევს გვერდით. რას უყურებს ჩვენი მთავრობა? რისა ეშინიან? ჩვენ ისეთი ფლოტი გვყავს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ყოველ დიდ სახელმწიფოს საკადრის პასუხს გავცემთ. ეხლა ასლი დროა, რომ რუსეთს თავისი კადნიერება შევანანოთ, ჩვენ ხალხს მომავალი დავუმკვიდროთ, ახალი საცხოვრებელი დავუმზადოთ და ახალი ბინა გავუჩინოთ.“

ინგლისური გაზეთებიც, რაღა თქმა უნდა, სულ იმის ცდაში არიან, რომ იაპონელების გულში გაჩაღებული ცეცხლი უფრო გააძლიერონ. ინგლისური გაზეთი „ჯაპენ დეილი მეილ“-ი ასე აქეზებს იაპონელებს: „მეტად საოცარი უსამართლობა მოხდა, რუსეთმა კორეიაში იონ-ან-პო დაიჭირა. იაპონიის ინტერესებს კორეიაში დიდი განსაცდელი მოელის. რუსეთმა მეტის-მეტად სასაცილოდ აიგდო კორეის მთავრობა: იონ-ამპოში სახლები ააშენა, თავისი ხალხი ჩააყენა და ამაზე კორეის მთავრობას არც კი დაეკითხა. მეტი უკანონობა და უსამართლობა აღარ შეიძლება. ამას იქით რუსეთი კორეის უძლურებით ისარგებლებს და იაპონიის ინტერესებს კორეიაში სულ აღარაფრად არ ჩააგდებს. იაპონიამაც, მეტი ჩარა არაა, რუსეთის მაგალითს უნდა მიჰბაძოს და კორეიაში იონ-ამ-პოს საბადლოდ ადგილები მოითხოვოს.“

◆ რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობის თაობაზე „ტან“-ს შემდეგს სწერენ კოპენჰაგენიდან: „რუსები როდილა აპირობენ მანჯურიიდან ჯარის გაყვანას. ამაზე რუსეთს მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ჩინეთთან. მაგრამ ჩინეთი არ დასთანხმდა რუსეთის პირობას და მოლაპარაკება შესწყდა ეჭვი არაა, ჩინეთმა ეს ამბავი იაპონიას შეატყობინა და იაპონიამაც სწორედ ამის გულისათვის დაძრა თავისი ფლოტი. იაპონიის სამხედრო გემები მაზამპოს პირდაპირა დგანან. 16 სექტემბერს ჯერ ჯარი ხმელეთზე არ იყო გადმოსული.

რუსებიც სულ მზად არიან. იქნება, მრისხანე ღრუბელმა გადაიაროს და სისხლის ღვრა აღარ მოხდეს. იაპონიას მანჯურიის დაჭერა სრულებითაც არა სწადიან, ამიტომ მანჯურიის გულისათვის რუსეთს ომს არ გამოუცხადებს. რუსეთიც დიდის ხალისით დასთანხმდება, რომ იაპონელებს კორეიაში დასახლებისა და ვაჭრობის უფლება მიეცეთ. რუსეთს მხოლოდ იმისი ეშინიან, რომ იაპონია კორეიაში მთლად არ გაბატონდეს.

ინგლისური გაზეთები სწერენ: საცაა ომი ასტყდებაო. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ იოკოჰამიდან, ვითომ რუსებს პორტ-არტურს გარშემო ჯარები ეყენოს, იქ იაპონელი აფიცრები დაეტუსაღებინოთ და პოსიეტ-ს ნავთ-სადგური დაეჭიროთ. იგივე სააგენტო იუწყება: რუსეთმა გემები დაიქირავა, რომ თავისი ჯარი იაპონიაში გადაიყვანოსო.

ახალი ამბავი

◆ ამ რამდენისამე დღის წინათ **ტფილისის სამკურნალო დაწესებულებების ფერშლებმა**, 20 კაცმა, საერთო განცხადება წარუდგინეს ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს და სთხოვეს ჯამაგირების მომატება 30 მანეთიდან 50 მანეთამდე. განცხადებაში ფერშლები სწერენ, რომ ქალაქში ამ ბოლო დროს ყველაფერი დაძვირდა, ამიტომ შეუძლებელია 30 მანეთით ცხოვრებაო. გუშინ სამკურნალო საბჭომ ფერშლების თხოვნა თავის მოსაზრებასთან ერთად წარუდგინა ქალაქის გამგეობას. საბჭო ასურათებს ფერშლების გაჭირვებულ მდგომარეობას და თხოულობს ფერშლებს ჯამაგირები მოემატოთ ამ რიგად: 1) 40 მანეთი მიეცეს იმ ფერშლებს, რომელნიც ამ ჟამად 30 მან. იღებენ და უფასო სადგომით არ სარგებლობენ. ხოლო ვინც ბინით სარგებლობს—35 მან., 2) იმ ფერშლებს, რომელთაც ეძლევათ 30 მანეთზე მეტი და არა უმეტეს 50 მანეთისა, მიემატოს თითოს 10 მან. და 3) ქალაქის უმთავრესს სამკურნალოს ორს ბებია-ქალს 25 მან. ნაცვლად მიეცეს 30 მან. საბჭო თხოულობს ყოველ წლიურად ფერშლების ჯამაგირების მოსამატებლად გადადებულ იქმნეს 2520 მან. გამგეობა ამ შუამდგომლობას ამ დღეებში განიხილავს.

◆ **ბათუმის ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, ნება მისცეს გაზეთების წარმომადგენელთ დაესწრნენ ხოლმე გამგეობის კრებებზე. პირველად ასეთი წესი ბაქოს ქალაქის გამგეობამ შემოიღო. ტფილისში არამცთუ გამგეობის სხდომებზე არ უშვებენ გაზეთის წარმომადგენელს, ხშირად სხვა-და-სხვა ცნობებსაც არ აძლევენ ხოლმე.

◆ 5 ოქტომბერს, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში, ტფილისში **განზრახულ საპედაგოგიო საზოგადოების** დამაარსებელთა კრება მოხდა. საზოგადოების ინიციატორებმა ჯერ კიდევ მაისში განიხილეს წესდება და წარუდგინეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რათა საერო განათლების სამინისტროსათვის გაეგზავნა დასამტკიცებლად. საზოგადოებას ნება მიეცემა დააარსოს ტფილისში სკოლები და წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, მოაწყოს ლექციების კითხვა და სხვა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განუხილავს წესდება ამხანაგობისა და უკანვე დაუბრუნებია. მზრუნველმა აცნობა მეთაურებს, რომ საზოგადოების მოქმედება ტფილისის რომელსამე სასწავლებელს უნდა დაუკავშირდეს და მაშინ წარვადგენ დასამტკიცებლადაო. უამისოდ შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე უნდა აღიძრას. ამის გამო კრებამ დაადგინა: მომავალი საპედაგოგიო საზოგადოება დაუქვემდებაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებებს და ანგარიშებიც ტფილისის გუბერნატორს წარუდგინოს ხოლმე. კრებამ დაავალა მეთაურთ, წესდების პროექტის რედაქციის მხრივ შესწორების შემდეგ დანიშნონ ადგილი, სადაც წევრებმა შუამდგომლობას უნდა მოაწერონ ხელი, და შემდეგ წარუდგინონ იგი გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასამტკიცებლად გასაგზავნად.

◆ ჰფიქრობენ, **ბათუმში საქარხნო საქმეთა** განსაკუთრებული საკრებულო დააწესონ. ამასთან ქუთაისის გუბერნიის უფროს საქარხნო ინსპექტორს, რომელიც დღემდეც ბათუმში სცხოვრობდა, უნდა ეწოდოს ბათუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის უფროსი საქარხნო ინსპექტორი. როგორც ოფიციალურ სტატისტიკიდანა სჩანს, ბათუმის ოლქში 16 სამრეწველო დაწესებულებაა, (რომელიც საქარხნო ინსპექციას ექვემდებარება), სადაც 3,225 მუშაა, ქუთაისის გუბერნიაში—5 ქარხანა დ 317 მუშა და სოხუმის ოლქში—1 სამრეწ. დაწ. და 210 მუშა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა გუშინ წერილობით სთხოვა გუბერნატორს, დახმარება გაუწიოს თვით მართველობას, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაუთმოს ქალაქს **მუშტაიდის ბაღის ის ნაწილი**, რომლითაც ამ ჟამად სარგებლობს სააბრეშუმო სადგური. ქალაქის მოურავი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ტფილისის მცხოვრებთა ერთად-ერთი ხეირიანი სასეირნო ბაღი მუშტაიდია, მაგრამ ეს ბაღიც ჯეროვანად ვერ არის მოწყობილი. ქალაქი ღონისძიებას იხმარს, რომ მუშტაიდი კარგად მოაწყოსო.

◆ სამრევლო საეკლესიო სკოლების ახლად დაარსებულ **საოლქო საბჭოს** უკვე უმზადებენ სადგომს, ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორასთან. ამ საბჭოსთანავე იქმნება მოთავსებული რედაქცია „სასულიერო მოამბისა“.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრს **მ. ს. შესტაკოვს დღეს**, **7 ოქტომბერს**, უთავდება თვითმართველობაში სამსახურის ვადა. ბ-ნი შესტაკოვი დღეიდან გადადის ახალს თანამდებობაზე, ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებლად.

◆ შინაგან საქმეთა **სამინისტროს მოთხოვნილების** თანახმად, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას დააჩქაროს ცნობების წარდგენა იმ ადგილების შესახებ, რომელიც ქალაქის გამგეობამ იჯარით უნდა გასცეს ნავთლუღში.

◆ როგორც შევიტყეთ, აქამდე სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო შეჩერებული **ყოველ კვირეული გაზეთი „კვალი“** იწყებს გამოსვლას პირველ ნოემბრიდან.

◆ **თელავი**: მდ. ალაზანზე ერთად-ერთი ხის ხიდია შაქრიანთან. წყალ-დიდობის დროს ხიდი ხშირად ვერ უძლებს მდინარეს და რომელსამე ნაწილს მოჰგლეჯს ხოლმე. წელსაც წყალმა ხიდს თავი მოჰგლიჯა და მიმოსვლა შესწყვიტა. მთავრობამ გადასწყვიტა იმის მაგივრად რკინის ხიდის გაკეთება. ხიდის გაკეთებას უკვე შეუდგნენ. ჯერ-ჯერობით დროებით ხიდი გააკეთეს სხვა ადგილას. აწინდელს ამ დღეებში აჰშლიან და შეუდგებიან ახლის გაკეთებას.

◆ დ. ზ. სარაჯიშვილს განუზრახავს **კახეთშიაც გახსნას არყის ქარხანა.** ქარხანა თელავში იქნება.

◆ ტფილისში ჩამოვიდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ახალი უფროსი **წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისა** ქ-ნი ე. ი. ზამიაკინა.

◆ **სიზრანის ასფალტით** მოვაჭრე საზოგადოების წარმომადგენელმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ იგი თანახმაა 1 ოთხკუთხი საჟენი ასფალტი 1 მან. 50 კ. დაუთმოს ქალაქს ქუჩების მოსაკირწლავად. წარმომადგენელი აგრეთვე თანხმობას აცხადებს ასფალტის სიმტკის გამოსაცდელად 6 თვის ვადა იყოს დანიშნული.

◆ **წყნეთში მეტად გაძლიერებულა სახადი.** საგუბერნიო სამკურნალო გამგეობის განკარგულებით ამ სოფელში გაიგზავნა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე მაჰავარიანი.

◆ გუშინ, 6 ოქტომბერს, მუხრანის ბორანის ძველმა იჯარადარმა ბუდაღოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს, იმას დაუტოვონ ისევ საიჯაროდ ბორანი 11,000 მანეთად წლიწადში. ბუდაღოვმა სთხოვა აგრეთვე ქალაქის გამგეობას, ნება მიეცეს საიჯარო ფულის დარჩენილი გარდასახადი, 8808 მანეთი, გადაიხადოს სამის წლის განმავლობაში.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებლად დანიშნული თავ. ვ. სიღომონოვ-ერისთავი 6 ოქტომბრიდან შეუდგა თანამდებობის აღსრულებას. თავ. ერისთავის ადგილზედ დუშეთის მაზრის სამხედრო საკრებულოში დაინიშნა ბ-ნი დაფქიაშვილი.

შინ და გარედ

18.

რუსეთისა და ევროპის გაზეთებიც ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბ. პლევეს წერილის გამო.

არჩევნები მარტში იყო. თიბათვის გასულს [illegible] აირჩიათ ქალაქის თავი და გამგეობის წევრები. მიუხედავად წინანდელის ამბებისა, ტომარას გვარმა ისევ წამოჰყო თავი. ზოგიერთებმა ხმოსნის ბ-ნის მარკოვის მეთაურობით ისევ წამოაყენეს მისი კანდიდატურა. არჩევნების დღეს კრებაზე ბ-ნმა მარკოვმა მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა ტომარას ნიჭიერებისა, შრომის მოყვარეობისა, უმწიკვლო ზნეობისა და სხ. ღირსებათა შესახებ. თავ-გამოდებით ურჩია ხმოსნებს, აირჩიეთ ეს კაცი, თორემ ბევრს დაჰკარგავთო. იმ გარემოებამ არ შეგაშინოსთ, რომ ქალაქის თავადაც იქმნება და ბანკის თავმჯდომარედაცაო! ბანკის საქმეებს იმის ცოდნის კაცმა დღეში ერთი საათი რომ მოანდომოს, ისიც ეყოფაო, დანარჩენს დროს ქალაქს შესწირავსო... ერთის სიტყვით, საზოგადოების ამაზე მეტად დაბრიყვება წარმოუდგენელი იყო. აქ გზა-და-გზა ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბ-ნს მარკოვს ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ ასეთის ქებათა-ქების თქმის ნება არა ჰქონდა არამც-თუ როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ როგორც უბრალო ხმოსანსაც... ბოლოს, საქმე მაინც იმით გათავდა, რომ ბ-ნს ტომარას ბ-ნმა მარკოვმა კრების თანხმობით წერილი გაუგზავნა: გთხოვთ, ყუთის დადგმის ნება გვიბოძოთ, ქალაქის თავად გვინდა აგირჩიოთო. ამის პასუხად ბ-ნმა ტომარამ სწორედ რომ ტომარასებური წერილი გამოგზავნა. იწერებოდა: დავსთანხმდები ვიკისრო ქალაქის თაობა თუ: 1) ქალაქის თავის ჯამაგირი სამასის თუმნის მაგივრად ოთხ-ასი იქმნება, 2) წევრებად ვისაც მე დავისახელებთ, იმათ აირჩევთ და 3) ერთსა იმავე დროს ბანკის თავმჯდომარეც ვიქმნებიო. მაგრამ, არა მგონი, სოხუმელებმა ამირჩიონ და ამიტომ ყუთს ნუ დამიდგამთო. არც არავინ დაუდგა. და ასე ამ გვარად ბ-ნს ტომარას იმედებს სამუდამოდ მოეჭრა კბილები. ახლა ვიკითხოთ, სოხუმელები სტყუოდნენ ბ-ნს ტომარასთან? ემართლებოდა რასმე ბ-ნი ტომარა აქაურებს? მხოლოდ ბ-ნი მარკოვი თუ-ღა გაკადნიერდება და იტყვის—სოხუმელებს კაცის დაფასება არ ეხერხებათ, სოხუმელები პარტიონისტები არიან, რიგიანს და ნიჭიერს კაცს გზას ულობავენო.

თიბათვის არჩევნებზე და აგრეთვე მანამდე სოხუმის ქალაქის თაობა სთხოვეს პროფესორებს ოსტროუმოვსა და დევშინს, ბ-ნს ვას. მეტაქსას და, ასე წარმოიდგინეთ, თვით ბ-ნს მარკოვს, (იმ მარკოვს, რომელიც ქართველს ხმოსნებს უკიჟინებს, მიკერძვით აკეთებთ საქმესაო!)... მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით ყველამ უარი განაცხადა. ასე რომ, რაკი შესაფერი კანდიდატი არა ჰყავდათ, არჩევნები ენკენისთვემდე გადასდვეს. მთელი ორი თვე ჰქონდათ როგორც ქართველ ხმოსნებს, ისე ბ-ნს მარკოვს და ამხ. ეძებათ სოხუმის ქალაქის თავად შესაფერი კაცი.

სოხუმელებმა, რაკი შიგ სოხუმში არავინა ჰყავდათ შესაფერი, გადასწყვიტეს სხვა ქალაქიდან მოეწვიათ კანდიდატი სოხუმის მეთაურისა. ასეთ კანდიდატად აღმოჩნდა ბ-ნი ვასილ ნიკ. აბულაძე, კაცი ცნობილი თავისის პატიოსნებით, ცოდნით, შრომის მოყვარეობით და მოქალაქეობით. 30 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში ყოფნა მისი, როგორც მოსამართლე, სრულიად საკმაო თავმდები იყო იმისი, რომ მთავრობის თვალშიაც წუნდაუდებელი იქნებოდა ბ-ნი ვ. აბულაძე. აგეთი კანდიდატი ყველასთვის სასურველი იქნებოდა სხვაგან, მაგრამ—სოხუმი სულ სხვა ვარსკლავზეა დაბადებული; აქ უკულმართობას და სულმდაბლობას დიდი გასავალი აქვს. სოხუმში არსებობს ისეთი წრე, რომლის თვალში ადამიანს ყოველივე ღირსება და უპირატესობა ეკარგვის, თუ მისს გვარს ბოლოს **ძე** ან **შვილი** აქვს. როცა სოხუმში ბ-ნის აბულაძის გვარი გაისმა, კი არ იკითხეს ეს კაცი რა ღირსების პატრონიაო; არა, რაკი **ძეა**, ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, ცუდი იქნებაო (იხ. იმ ხანების წერილები „ჩერნ. ვესტ.“-ში მოთავსებული). იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და გამოატყვრინეს ბ-ნი ზახაროვი, ქალაქის ვექილი, რომელსაც საზოგადოების ნდობა ჯერ არაფრით დაუმსახურნია, რომ ასეთი მძიმე საქმე, როგორიც ქალაქის თაობაა, დაეკისრებინათ.

იძახდნენ **ძენი** და **შვილნი** არ გვინდაო, მაგრამ ამას შინაურულად, კერძო ბაასის დროს იძახდნენ. მათის კადნიერების ამბავი ვიცოდით, მაგრამ კიდევ გვეგონა, ნამუსს ერთის ბისტის ფასი მაინც ექნებოდა მათთვის. არჩევნების სამის დღის წინად გამართულმა კერძო მოლაპარაკებამ ხმოსნებისამ ეს კნინი იმედიც კი გაგვიქარწყლა. ეს მოლაპარაკება გამართული იყო საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნის მარკოვის წინადადებით,—ვითათბიროთ და ამა თუ იმ კანდიდატზე ყველანი როგორმე შევთანხმდეთო. როცა თავმჯდომარემ ბრძანა, აბა, ბატონებო, კანდიდატები (ქალაქის თავისა და გამგეობის წევრისა) დავასახელოთო, წამოდგა ხმოსანი მარეცკი (ექიმია) და მთელი ნახევარი საათი ბ-ნის ზახაროვის ღირსებათა ჩამონუსხვას მოანდომა. ბ-ნი ზახაროვი ყოვლად პატიოსანი, გამოცდილი, უმაღლესად განსწავლული, კეთილშობილის ხასიათისა, სოხუმელთა გულშემატკივარი, უანგარო და სხ. ღირსება-უპირატესობით მოსილი ყოფილა. ხმოსნებმა გაიკვირვეს, კაცო, ე რა ღმერთი გაგვიწყრა, ოქროს მადანი ეზოში გვქონია დამარხული და ჩვენ კი გარედ ვეძებდითო. სინანულს მიეცნენ, როგორ მოგვივიდა, რომ ორი წელიწადი ჩვენს შორის ტრიალებდა ასეთი ზღვა კაცი და ჩვენ კი ვერ შევნიშნეთო. მარეცკიმ ეს არ იკმარა და დასძინა: აბულაძეს რო იწვევთ, აქ არავითარი მოძრავი ქონება არა აქვს და არც ისეთი ინტერესი ექნება ქალაქს გამოექომაგოსო. ერთი ურწმუნო თომა წამოდგა და ჰკითხა ორატორს, თქვენს ლხენას, ერთი ეს მიბრძანეთ, ზახაროვს რაღა ქონება აქვს სოხუმშიო? თუ ხსოვნა არა გვღალატობს, როცა ამ ორის ლის წინად მისი ბედნიერი თავი სოხუმს მოევლინა, ერთის ქოლგისა და ძირ გავარდნილ გვადრუცის მეტი, რომელშიაც მისი კანონების წიგნილა იდო, არაფერი არ მოჰყოლიაო. მაგრამ მარეცკისთანა ვექილი რიდის ვექილია, თუ გაჭირვების დროს თავის ფხანას მოჰყვება და შესაფერ პასუხს ვერ ეტყვის მოპირდაპირეს! „ზახაროვმა მითხრა, სარატოვში სახლი მაქვს, იმას გავყიდი და სოხუმში გავიჩენ კერასაო“... პატივცემულ ხმოსნის და ექიმის დიდი რიდი ჰქონდათ ხმოსნებს, მაგრამ მისს სიტყვებზე უნებლიედ გაიცინეს, და, წარმოიდგინეთ, ბ-ნს მარეც-

მართლაც, დიდათ საინტერესოა ეს წერილი და მეტი არ იქნება ჩვენმა მკითხველებმაც გაიგონ მისი შინაარსი. სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს „მოსკოვ. ვედომ.“-ს ის ნომერი, რომელშიაც ეს წერილი მთელად არის გადმოთარგმნილი ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალიდან, სადაც ბ. პლეევმ დაბეჭდა თავისი წერილი; ამიტომ ვსარგებლობ „ნოვ. ვრ.“-ს გადმოცემით, თუმცა ამ გაზეთში წერილი სავსებით არ იყო დაბეჭდილი და მხოლოდ შინაარსი იყო გადმოცემული.

ბ. პლეევს წერილი შემდეგ გარემოებას გამოუწვევია: ევროპის ჟურნალ-გაზეთებში ბევრსა სწერენ ფინლანდიის საქმეების გამო; თითქმის მთელი იქაური პრესსა გამოსარჩლებია ფინლანდიას და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულია. რუსეთი მეტისმეტად ავიწროებს მშვიდობის მოყვარე ფინლანდიასაო, ართმევს მას ადგილობრივ თვითმმართველობით დაწესებულებებს, უსპობს კონსტიტუციასო და სხვა, თუმცა ფინლანდიელთ არაფრით დაუმსახურებიათ ასეთი შევიწროება და დევნაო.

სხვათა შორის ამ ხასიათისვე წერილი დაუბეჭდია ინგლისის გამოჩენილს პუბლიცისტს სტედს და მიუმართავს რუსეთის მთავრობისათვის რჩევით, „კაცთმოყვარეობის პრინციპით იხელმძღვანელე და მოასვენე საცოდავი ფინლანდიაო“. ბ. პლეევს საჭიროდ უცვნია სტედისთვის პასუხის გაცემა, რითაც მინისტრი მთელის ევროპის პრესსას გამოეკამათა.

ბ. პლეევს სიტყვით, ევროპის მთელი პრესსა შემცდარია, ცალმხრივადა და მიდგომით სჯის რუსეთ-ფინლანდიის ურთიერთობის შესახებ. გაზეთები ყურადღებას აქცევენ მხოლოდ იმ სასტიკ რეპრესიებს, რომელიც ჩვენმა მთავრობამ ბოლოს დროს შემოიღო ფინლანდიაშიო; ხოლო ის არ ესმისთ, რომ ეს რეპრესიები დროებითია: როგორც-კი დამშვიდდება ფინლანდია, მოისპობა მტრული აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ და ჩვენი მთავრობა თავის განზრახვას აასრულებს, ყოველივე სასტიკობა მაშინვე მოისპობაო. გაზეთები მეტად აზვიადებენ ამ დროებით რეპრესიებს და მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ მათაო....

რაც შეეხება რუსეთის მთავრობის განზრახვას, ბ-ნ პლეევს სიტყვით, ევროპის პრესსას არც ამისა ესმის რამეო. რუსეთსო, განაგრძობს მინისტრი, ჰსურს ფინლანდია, რამდენადაც ეს შეიძლება, გაუერთიანოს რუსეთს პოლიტიკურად და ადმინისტრატულადო; ჰსურს ამ მხრით მოსპოს ის არსებული ანორმალური მდგომარეობა, რომ ფინლანდია წარმოადგენს „სახელმწიფოს სახელმწიფოში“-ო. მაგრამ, არწმუნებს ბ-ნი პლევე სტედს, რუსეთს ფიქრადაც არ მოსვლია ფინლანდიელების გარუსება და მათის ეროვნების დევნა-შევიწროებაო. რუსეთიო, განაგრძობს ბ-ნი პლევე, სრულიადაც არ არის ჩვეული გარუსების პოლიტიკისო: მას სწამს ყოველი ეროვნება, არ სდევნის სხვის ენასა და სარწმუნოებას; რუსეთი ვერ მოითმენს მხოლოდ, რომ მის იმპერიაში რომელმამე ერმა თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნასო. თუ ფინლანდია უშფოთველად დაემორჩილება ზოგიერთ პოლიტიკურ ღონისძიებათ, რომელთა შემწეობით უნდა მოხდეს რუსეთისა და ფინლანდიის პოლიტიკურად გაერთიანება, ფინლანდიელები მაშინ დაინახავენო, ირწმუნება ბ. პლევე, რომ რუსეთი არავის გარუსებასა და არც ერთ ეროვნების მოსპობას არ ჰფიქრობსო.

ბ-ნ პლევეს ასეთი პასუხი, რასაკვირველია, ბევრ მითქმა-მოთქმასა და კომენტარიებს იწვევს უცხოეთის პრესსაში... **გან**

რუსეთის ქრონიკა

◆ ამ თვიდან დაიწყებენ საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლების მასწავლებლების დროებით ჯამაგირის მომატებას. ამ საქმისათვის ფინანსთა სამინისტროს გადაუდვია წელს 600 ათასი მანეთი; მომავალ წლიდან კი ამავე საქმისათვის საერო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანენ 2,400 ათას მანეთს. საქალაქო სასწავლებლის საოსტატო სემინარიის და ინსტიტუტის მასწავლებელთ მიემატებათ ჯამაგირის 20%. გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის მასწავლებელთ, რომლებიც 12 ნორმალურ გაკვეთილში იღებენ 1,500 მანეთს, აგრეთვე მასწავლებელთ, რომელთაც ათ წელიწადზე მეტი არ უმსახურნიათ, მოემატებათ 90 მანეთი. რომელთაც ათიდან 15 წელიწადი უმსახურნიათ —180 მანეთი, რომელთაც 15-დან 25 წელიწადი—360 მანეთი. თორმეტ ნორმალურ გაკვეთილს გარდა დამატებით გაკვეთილებისათვის მიეცემათ 60 მ. მაგივრად 70 მანეთი, 50 მაგივრად 60 მ., 48 მ. მაგივრად 55 მ. 36 ნაცვლად 42 მ., 30 ნაცვლად 33 მანეთი. უნივერსიტეტის და უმაღლეს სასწავლებლების პროფესორთ და მასწავლებელთ, რომელნიც ათას მანეთს და ნაკლებს იღებენ, მოემატებათ ჯამაგირის 20%. სასწავლებლის ადმინისტრაციის პირთ, ინსპექციას და აგრეთვე იმათ, ვინც პენსიას იღებენ, ჯამაგირი არ მიემატებათ.

◆ სათავად-აზნაურო ურთიერთ დამხმარებელ კასსებს მომავალ წელს მიეცემათ ხაზინიდან 2 მილიონი მანეთი.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, კბილის ექიმის დეემსა-ლევის კბილის საექიმო სკოლა დაიხურა. სკოლაში დახურვის დროს 300 მოსწავლე იყო, უმეტესობა ებრაელები. უკანასკნელ სემესტრის მსმენელთ, რიცხვით 40 კაცს, ნება მიეცათ შიმანსკის კბილის საექიმო სკოლაში შესვლისა. დანარჩენები იძულებულნი არიან, ეძებონ ადგილი სხვა და სხვა სასწავლებლებში.

◆ როგორც „პეტერ. ვედომ.“-ს კიეველი კორესპონდენტი იუწყება, კიევის გუბერნიაში სოფლის მეურნენი დიდ გაჭირვებაში არიან წრევანდელ მოუსავლობისაგამო. ამ ვაჭირვებას ზედ ერთვის ის, რომ ნათესს ჯერ-ჯერობით ძლიერ ცუდი პირი უჩანს და მოუსავლობა მოსალოდნელია მომავალ წელსაც.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, მას შემდეგ, რაც ხაზინას მაგარ სასმელების გაყიდვა დაუწყია, ტომსკში მეტი არაყი ისმება და მეტია სიმთვრალისათვის დატუსაღებულთა რიცხვი. 1901 წ. მეხუთე უბანში დაჭერილი ყოფილა ლოთობისთვის 2,980 კაცი, 1902 წელს კი, რაც ხაზინამ სასმელების გაყიდვა დაიწყო, დაუტუსაღებიათ 3,262 კაცი. სჩანს, მაგარ სასმელების მონოპოლია ხელს უწყობს ლოთობის გაძლიერებას.

◆ როგორც „ნოვოსტი“ აღნიშნავს, პეტერბურგის ბირჟა გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ფასიან ქაღალდების ღირებულობამ თვალ-საჩინოდ დაიწია. ამის მიზეზი საშიში პოლიტიკური ხმებია.

◆ როგორც პეტერბურგის სამასწავლებლო ოლქის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, მთელ ოლქის სოფლებში საყოველთაო სწავლების შემოსაღებად საჭიროა დაარსდეს 4 ათასამდის ერთ კლასიანი სასწავლებელი, რისთვისაც საჭირო იქნება 1,800,000 მანეთი. ამის შესაფერ ორ კლასიან სასწავლებლებისათვის საკმარისი იქნება 250 ათასი მანეთი. თუ ამ სკოლების დაარსება ექვს წელიწადზე განაწილდება, მაშინ საჭიროა ყოველ წლივ 300—350 ათასი მანეთით მეტის გადადება. მასწავლებლების საკმაო რიცხვის მოსამზადებლად უნდა დაარსდეს ორი საოსტატო სემინარია. პეტერბურგის სამასწავლებლო ოლქის ქალაქებში საყოველთაო სწავლებისათვის საჭიროა დაარსდეს 10 სკოლა არხანგელის გუბერნიაში, 55—ვოლოგდისა, 88—ნიჟეგოროდისა, 6—ოლონეცისა, 29—პსკოვისა და 80 პეტერბურგის გუბერნ. ამ ხარჯების დასაფარავად იკმარებს 300,000 მანეთი.

◆ „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ვაზას გუბერნატორის შემდეგი სავალდებულო დადგენილება: 1. ვაზას გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში აკრძალულია თავის მოყრა და კრება ქუჩებსა, მოედნებსა, ბაღებსა და ყველა საზოგადო დაწესებულებებში ისეთ მოქმედებისათვის, რომელიც საზოგადო წესიერებას და სიმშვიდეს არღვევს ან აზრადა აქვს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოხდენა. 2. ზემოდ დასახელებული ყრილობა და კრება, აგრეთვე გარეშე ხალხი, მოსული საყურებლად, თუნდაც ბოროტი განზრახვა გულში არ ედოს, ვალდებულნი არიან პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე დაიშალნენ. 3. პირველ მუხლში დასახელებულ ადგილებში აკრძალულია ყოველგვარი სიმღერები, ფსალმუნების გალობა, სიტყვების წარმოთქმა და სხვა, თუ ამაზე წერილობითი ნებართვა არა აქვთ აღებული სათანადო მთავრობისაგან. 4. ამ დადგენილების დამრღვეველთ გადახდებათ 400 მარკა ჯარიმა და ვისაც გადახდა არ შეუძლიან, დაპატიმრებული იქნება. ამ დადგენილების დარღვევის საქმე ექვემდებარება გუბერნატორს და გადასწყდება ადმინისტრაციულის წესით. 6. ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

◆ 25 და 26 სექტემბერს ვილენის სასამართლო პალატამ განიხილა 11 ებრაელის საქმე, რომელთაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, 5 აპრილს ქ. პინსკის ბოქაულს გაუჩხრეკია 4 ადგილობრივ ებრაელის ბინა, დაუჭერია და პოლიციაში გაუგზავნია. მეორე დღეს ებრაელების ბრბოს დაუნგრევია პოლიციის შენობა და დაჭერილები გაუნთავისუფლებია. ამასთანავე პოლიციელებთან შეტაკების დროს რამდენჯერმე გაუსროლიათ რევოლვერები. თუმცა მაშინ პოლიციას ვერავისი დაჭერა ვერ მოუხერხებია, მაგრამ შემდეგ ეჭვით დაუჭერია 23 კაცი. 11 წინააღმდეგ შეკრიბეს საჭირო საბუთები და მისცეს სასამართლოში, დანარჩენნი-კი გადასცეს ჟანდარმებს. დამნაშავეთ იცავდნენ: პეტერბურგიდან მოსული ადვოკატები პერევერზევი და გინზბერგი, მოსკოვიდან—სტაალი, კიევიდან—შიშკო, შეინმანი და სლუცკი და მინსკიდან—ენტიხი. სასამართლომ გადაუწყვიტა: ორს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 1½ წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ერთს—ერთის წლით საპყრობილე, 3 რვათვით დაპატიმრება, დანარჩენნი-კი გაამართლა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ქართული წარმოდგენა ორს ადგილას იმართება—სათავად-აზნაურო თეატრსა და ავლაბარს, ვარშამო-

---

კის ეწყინა კიდეც, როგორ გაიცინესო!... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, წერილობით დაასახელეს კანდიდატები. 9 ხმა ამოუვიდა ბ-ნს აბულაძეს, 8—ბ-ნს ზახაროვს როგორც ქალაქის თაობის კანდიდატებს. გამგეობის წევრად დასახელებულ იქმნენ ბ-ნნი ხარ. ღლონტი (წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი) და ალ. მაჭავარიანი (ექიმი). როდესაც ხმები დასთვალეს და ყველასათვის ცხადი იქმნა ბ. ბ. აბულაძისა და ხ. ღლონტის კანდიდატურა, კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა მარკოვმა დაურიდებლად განაცხადა: ამაოდ სცდილობთ **ორის ქართველის** არჩევას, სულ ერთია, არ დაამტკიცებენო. ასეთმა, ცოტა არ იყოს, წინდაუხედავმა სიტყვებმა თავმჯდომარისამ მეტად აღელვა ქართველი ხმოსნები; ააღელვა ისეთებიც კი, რომელნიც ასეთს შემთხვევაში აღელვებას ერიდებიან და მორჩილების ნიშნად ყველას „ვალი ალა“-ს ეუბნებიან. მარკოვმა გამოააშკარავა საჯაროდ, რომ ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ წრისა, რომელიც ამა თუ იმ თანამდებობისათვის ღირსეულს კაცს კი არ ეძებს, არამედ მისის გვარის დაბოლოვებას. ბ-ნმა მარკოვმა ის კი არ იკითხა, ბ-ნი აბულაძე შესაფერი კანდიდატი იყო თუ არა, არამედ გაიგონა, რომ ბ-ნის აბულაძეს გვარს ფლექსიად ძე ჰქონდა და მარტოოდენ ეს გარემოება საკმაო შეიქნა, რომ დაფასებულიყო ბ-ნი აბულაძე. გარდა ამისა, თავისის სიტყვებით ბ-ნს მარკოვს, უეჭველია, სწადდა შიშის ზარი დაეცა ბ-ნის აბულაძის მომხრე ხმოსნებისათვის და მისს კანდიდატურაზე ხელი აეღებინებინა. ამ დროს წამოდგა ხმოსანი ბ-ნი ლუკა თოფურიძე და დაახლოვებით შემდეგი უპასუხა ბ-ნს მარკოვს: მეტად საწყენი იყო იმის მოსმენა, რაც თქვენ ახლა ბრძანეთ. ბრძანებთ, რომ ქართველი კაცი ნუ იქმნება ქალაქის საქმეთა მეთაურადაო. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ქართველი კაცის კანდიდატურა განა იმიტომ წამოვაყენეთ, რომ სხვა რჯულის კაცი არ გვინდოდა ან არ გვინდა? ეროვნების ხსენება ასეთ საქმეში მეტის-მეტი გაუფრთხილებლობაა, მეტის-მეტი წინდაუხედავობაა. როცა ქალაქისათვის სათავო კაცს ვეძებთ, იმას კი არ უნდა ვკითხულობდეთ—ეს კაცი ქართველია, რუსია თუ სომეხი. მთავარი საკითხი ის უნდა იყოს, ესა თუ ის კაცი რამდენად შესაფერია იმ როლისათვის, რომელიც უნდა დავაკისროთ. ჩვენა გვწამებთ, ეს პატრიოტობააო. ჩვენ არ ვიყავით, რომ ქალაქის თაობა ვსთხოვეთ ყველასაგან პატივცემულს პროფესორს და სოხუმის კეთილისმყოფელს ბ-ნს ოსტროუმოვს; ჩვენ არ ვიყავით, რომ იმავე თხოვნით მივმართეთ პროფესორს ლევშინს; ჩვენვე არა გთხოვეთ თქვენ, ბატონო მარკოვო, რომ სოხუმისათვის მეთაურობა გაგეწიათ? თქვენა გკითხავთ, ბატონო თავმჯდომარევ, დაგვრჩა ვინმე ისეთი, რომელიც ივარგებდა ამ საქმისათვის და არა ვსთხოვეთ? კარგები არავინ დაგვრჩენია და იმას, მგონი, არც თქვენ ინებებთ, გვითხრათ—ზარინი (მეჯაგვე) აირჩიეთო! წამოგიყენებიათ კანდიდატურა ბ-ნის ზახაროვისა და გვეუბნებით, უეჭველად ეს აირჩიეთო. რატომაო, ბატონო და ხელმწიფე ჩვენო. ჩვენი წამოყენებული კანდიდატი ვითომ იმაზე უკეთესი არ არის? ზახაროვმა გუშინ გაათავა სასწავლებელი; მართალია, ჩვენს შორის ორი წელიწადია სცხოვრობს, მაგრამ ჯერ ჩვენი ნდობა იმდენად არ დაუმსახურებია, რომ ქალაქის ბედ-იღბალი ხელში ჩავუგდოთ. ცოდვა არ არის, ბ-ნის აბულაძის წინააღმდეგ ასეთი კანდიდატი გამოვიყვანოთ? კაცს 30 წელიწადი უმსახურნია, ამდენის ხნის განმავლობაში გამოცდილება შეუძენია, დაუმსახურნია ნდობა და სიყვარული მთავრობისა; ბოლოს ქუთაისის საზოგადოებას ბანკის დირექტორად აურჩევია. და ასეთს კაცს გვიწუნებთ და მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველია, ქართველი რომ არის, იმიტომ არ დაამტკიცებენო! რათაო, დედავ და თვალო! ქართველმა ვის რა გველი შეუწვა! ნუ თუ ჩვენც თანასწორი უფლებით მოსილნი ქვეშევრდომნი არა ვართ დიდის რუსეთის იმპერიისა? ქართველს არ დაამტკიცებენო! რისთვისაო? ერთი ეს გვიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, თქვენ ვინ გიბოძათ ვექილობა, რომ ასე თამამად, ასე დაბეჯითებით გვეუბნებით ამას?

ხმოსანი ლ. თოფურიძეს, როცა ამას ამბობდა, ალბად იმედი ჰქონდა, რომ ქუდს დასდებდნენ და სამართალს ისე იტყოდნენ, მაგრამ იმედი იმედად შერჩა. ამხანაგებმა უთხრეს, სად გაგონილა კედელს ცერცვი მიადგესო?! ბ-ნი მარკოვი და c-ie თავისას არ იშლიდნენ, უეჭველად ზახაროვი უნდა აარჩიოთო, ჩვენმა ხმოსნებმა სთქვეს, ჩვენ ჩვენი ვქნათ, ღირსეული კაცი ავირჩიოთ, თუ არ დაგვიმტკიცებენ, უღირსები ხომ არსად წაგვივაო.

დადგა არჩევნების დღე, 15 ენკენისთვე. რეზულტატი არჩევნებისა „ცნობ. ფურცლის“ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ. ბ-ნი ვასილ აბულაძე არჩეულ იქმნა დიდის ხმის უმეტესობით (22 თეთრი და 13 შავი), ხოლო მისი მოპირდაპირე ბ-ნი ზახაროვი დიდის ხმის უმეტესობით გაშავებულ იქმნა (13 თეთრი და 21 შავი), გამგეობის წევრობის კანდიდატად უმეტესობას ბ-ნი ხ. ღლონტი ჰყავდა. მაგრამ სწორედ ყუთის დადგმის წინ ნათელ-მირონობამ, შენ-ჩემობამ თავი იჩინა და არჩეულ იქმნა ბ-ნი ალ. მაჭავარიანი. სოხუმის საზოგადოება გულწრფელად ნანობს, რომ ამ თანამდებობაზე არ იქმნა არჩეული ბ-ნი ხ. ღლონტი, ენერგიით, საზოგადო საქმის და სამსახურის სიყვარულით აღსავსე და შესაფერად მომზადებული ახალგაზდა კაცი. მაგრამ ისე მოულოდნელად მოხდა ყოველივე, რომ საქმის შველა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა.

არჩევნები გათავდა ისე, როგორც უმრავლესობას სურდა და ჰნატრობდა. რაკი ბ-ნმა მარკოვმა და კ—ამ კანონიერის გზით ვერა გააწყვეს-რა, სხვაფრივ შეეცადნენ ფონს გასვლას. ბათომის გაზეთის ნომერი ისე არ გამოვა, შიგ სულმდაბლურ ბეზღების წერილი არ იყოს დაბეჭდილი: **ძე** აირჩიეთ, მაგრამ სულ ერთია, არა დაამტკიცებენო! დაამტკიცებენ თუ არ დაამტკიცებენ, ჩვენ მაინც სანუგეშოდ ისა გვრჩება, რომ ასეთ საპატიო თანამდებობისათვის ღირსეული კაცი ავირჩიეთ, რომლის დასამცირებლად ბეზღობის მოტრფიალეთ იმის მეტი ვერა უთქვამსთ, რომ არჩეული კაცი **ძეა**, რომ ეს კაცი ქართველად არის დაბადებულიო. ასეთი იარაღი, როგორსაც ეს ვაჟბატონები ეპოტინებიან ფონს გასასვლელად, ბევრი არაფერი სახარბიელოა, განა, მკითხველო!.

თ. ხ.

ვის თეატრში. კვირაში ორჯელ, ორს თეატრში ორ-ორი ქართული წარმოდგენა იმართება, ზოგჯერ ორივე თეატრში, ერთი და იგივე დრამატიული დასი, ერთსა და იმავე პიესას ზედი-ზედ თამაშობს შაბათს ერთს, კვირას მეორე თეატრში, ამიტომ დღეის შემდეგ რეცენზენტებისათვის მუდამ საჭირო იქმნება იმის განმარტება, თუ რომელ წარმოდგენაზე აქვს ლაპარაკი, რომელიც ავლაბარში გაიმართა, თუ სათავად-აზნაურო თეატრში. და რომ ამ გვარი განმარტება მუდამ საჭირო არ იყოს, **ქართული თეატრის** სათაურით ჩვენ მხოლოდ იმ წარმოდგენის ანგარიშს ვსწერთ, რომელიც სათავად-აზნაურო თეატრში გაიმართება.

კვირას ქართულმა დასმა წარმოადგინა ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, აკაკი წერეთლისა „პატარა კახი“. ჩვეულებრივ ასეა, რომ ავტორი სცდილობს თავის პიესის როლები დასის საუკეთესო არტისტთა შორის იყოს განაწილებული. ადვილი გასაგებია, რომ კარგი და გამოცდილი არტისტები პიესას უკეთ წარმოადგენენ, იგი უფრო კარგს შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე და ეს ავტორის თავ-მოყვარეობას და ამაყობას დააკმაყოფილებს: ამიტომაც არის, რომ როლების განაწილების დროს რეჟისსორსა და ავტორს შორის ათასი უსიამოვნება და დავი-დარაბა ასტყდება ხოლმე. და მართლაც აქტიორების და რეჟისსორის ხელთაა ბედი და მომავალი რომელისამე დრამატიულის ნაწარმოებისა. „პატარა კახის“ როლების განაწილების დროს რეჟისსორს აკაკის ულალატნია ავტორის აკაკისათვის და როლები, გარდა ერთი-ორისა, სულ ახალგაზრდა და გამოუცდელ არტისტებისათვის ჩაუბარებია. მართალია, ამით ისტორიული დრამა „პატარა კახი“ არ წამხდარა, რადგან, ვთხოვ ავტორს მაპატიოს,—„პატარა კახი“, თუმცა 5 მოქმედებიანია, მაგრამ მეტად **მცირე დრამაა,** თითქმის რომ დრამა სრულიადაც არ არის. ყველაფერია შიგ: სალამური, უსინათლო, კუტი, ბუკი, მუმლი და მუხაც, დროშაც, მაგრამ **ის ბრძოლა,** რომელიც აუცილებლად იხატება ყოველ დრამაში და დრამის არსებას შეადგენს, „პატარა კახ“-ში არ არის, არის მხოლოდ სიტყვები, სიტყვები და სიტყვები, მშვენიერი, საუცხოვო, პოეტური სიტყვები.

წარმოდგენამ, მაინცა-და-მაინც როგორც მოყვარეთა წარმოდგენამ, საუცხოვოდ, ძალიან მწყობრად ჩაიარა და ახალგაზრდა არტისტები ბევრის და ხანგრძლივის ტაშის-ცემით დააჯილდოვეს. ახალგზრდათა გარდა წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო არტისტმა ვ. გამყრელიძემ. მრავალჯერ მინახავს ბ-ნი გამყრელიძე სცენაზე და არ მახსოვს,'რომ ასე კარგად, ასე უნაკლულოდ შეესრულებინოს როლი, როგორც გუშინ-წინ ბრმა გელას როლი შეასრულა.

ბ-ნთ გვარაძეს, შალიკაშვილს, ბაქრაძეს და მატარაძეს, ეტყობა სცენა .უყვართ, და შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგავთ, როლები კარგად ჰქონდათ შესწავლილი.

ვ. ს—ი.

საარტისტო საზოგადოების თეატრი. ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე მაქსიმ გორკის პიესა „ნა დნე“. 4 ოქტომბერს, როდესაც ეს პიესა წარმოადგინეს, გაჭედილი თეატრი სულ-განაბული ისმენდა პიესის გმირების ყოველს სიტყვას, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა იმათ მოძრაობასა და მოქმედებას. აშკარაა, ის, რაც სცენაზე ხდებოდა, ახალი იყო მაყურებელთათვის, დიდ უმრავლესობისთვის მაინც. ან-კი სადა ჰნახავდა მდიდრულად გამოწყობილი საზოგადოება იმ ნოტიო, ბნელ და ჰაერ დახშულ სარდაფს, სადაც თავი მოეყარათ „ყოფილ ადამიანებს“. სარდაფში თითქმის ყველა წოდებას, ხელობასა და პროფესიას ჰყავს თავისი წარმომადგენელი. აქ არის ბარონი, რომელიც ოდესღაც მდიდარ ნადიმებს ჰმართავდა, დიდკაცობას დროს ატარებინებდა, საკუთარ ცხენ-ეტლით დასეირნობდა და უდარდელად განცხრომას ეძლეოდა. რა თქმა უნდა, ბარონს მაშინ არც-კი ეცოდინებოდა ამგვარ სარდაფების არსებობა. „დრონი იცვალნენ“ და ერთ დღეს ამ ბარონმაც ბნელ სარდაფში ამოჰყო თავი. ეხლა ბარონი წარსულ დროთა მოგონებით-ღა იოხებს გულს, თუმცა ძველებურ რიხსა და კოპწიაობას დაფლეთილ ტანისამოსშიაც არ ივიწყებს. აქვეა არტისტი. ვინ იცის, რა გულის კანკალით შესდგა ამ არტისტმა სცენაზე ფეხი, რა იმედებით იყო ავსილი, როდესაც საარტისტო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, რა სიამოვნებას ჰგრძნობდა, როდესაც მომავალს ითვალისწინებდა... აი, ეს მომავალიც: ცხოვრების უკუღმართობის მეოხებით ამასაც დაუსხლტა ფეხი და ჩავარდა იქ, საიდან ამოსვლაც ძნელია. ამავე სარდაფში სცხოვრობს ტელეგრაფისტად ნამყოფი. მართალია, ტელეგრაფისტობა მაინც და მაინც დიდი არაფერი ბედენაა, მაგრამ იმასაც ხომ შეეძლო სიხარულის, სიყვარულისა და სხვა ბედნიერების გამოცდა. მრავლად არიან სარდაფში ასევე გაუბედურებული ხელოსნები და მუშები, აგრეთვე მშვენიერ სქესის წარმომადგენელნი. აგერ, პირველ მოქმედებაშივე იღება კარი და შემოდის ახალგაზრდა, მაგრამ ფერ მიხდილი და თვალებ ჩაცვივნული ქალი— ეტყობა, ქუჩაში ნადირობას ნაყოფი ვერ გამოუღია. მეორე ქალი მთელი ღამის ლოთობის შემდეგ შორს კუნჭულში ღრმა ძილს მისცემია. მესამე ქუჩის რომანების კითხვით გატაცებული განუწყვეტლივ იმას იძახის, უნდა წავიდე აქედან, არ შემიძლიან ასეთი ცხოვრებაო, მაგრამ წასვლით მაინც ვერსად წასულა.

ასეთია სარდაფი, ღამის სათევი, გორკის მიერ დახატული. გმირები ამავე ავტორის მოთხრობების „ბოსიაკები“ და ლოთები არიან. ათასი სისაზიზღრე ხდება სცენაზე: მკვლელობა, ლოთობა, ცემა-ტყეპა, ერთმანეთის ლანძღვა, მოტყუება, მაგრამ მაყურებელი მაინც სიბრალულით ივსება და ჰგრძნობს, რომ ეს უბედურნი მსხვერპლნი არიან წუთი-სოფლის უსწორ-მასწორობისა, ცხოვრების უკუღმართობისა. მართლაცა და ამ ჭუჭყიან სარდაფისა, ძონძებისა და ლოთობის მიუხედავად, ყველას აშკარად ეტყობა ადამიანობა, კაცური კაცობა. ჰგრძნობთ, რომ ეს უბედურნი არაფრით ნაკლებნი არ არიან იმ ბედნიერებზე, რომელნიც კმაყოფილნი ზევით, სარდაფის თავზე, კარგად დაგვილ და დაწმენდილ ქუჩებში დასეირნობენ. ჩემის აზრით, ნიშნობლივი თვისება გორკის ყველა ნაწარმოებისა და გმირებისა სწორედ ეს არის: დაქვეითება და დაცემა შედეგია საკუთარის სიგლახაკისა და ბედოვლათობისა კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების მოუწყობლობისა. ხშირად ასეთ მსხვერპლებად უფრო მგრძნობიარენი, სულით ფაქიზნი და მოძმის მოსიყვარულენი ხდებიან ხოლმე.

(დასასრული იქნება)

დაბა-სოფლები

სოფ. კირცხი (სამეგრელო). კირცხის საზოგადოება ინახავს 1874 წლის დაარსებულ ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლას. წარსულ წელს, დიდის დავიდარაბის შემდეგ, საზოგადოებამ მთავრობას განაჩენი წარუდგინა ერთ-კლასიან სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთების შესახებ. განაჩენი დაამტკიცეს. სამრევლო სკოლები არსებობს კირცხის საზოგადოების ორ სხვა სოფელში, გოშიფერდსა და სარაქონში. კირცხში არსებობს აგრეთვე ერთ-კლასიანი საქალებო სასწავლებელი.

წლეულს სიმინდისა, ფეტვისა და ღომის მოსავალი მეტად მცირეა. რასაც მოელოდნენ, იმის ნახევარიც არ მოსულა. ხილეული, ბია და ვაშლი ბლომად აბია, ასე რომ შტო ნაყოფს ველარ იმაგრებს. უამინდობამ და დანესტიანებულმა ჰაერმა მოსავალზე ცუდი გავლენა იქონია. ამისავე წყალობით, დადგა სექტემბერი თუ არა, გვეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი ციებ-ცხელება. რა ჰქნას ავადმყოფის პატრონმა, რითი უწამლოს, როცა შინ არაფერი მოეპოვება და გარედ. ორი წლის წინად ერთმა კაცმა კირცხში აფთიაქი გახსნა, მაგრამ შურის მაძიებლობამ სტუმარი მოსვლისათანავე დაგვიფრთხო: ბოროტ-განმზრახველებმა აფთიაქის შენობას წაუკიდეს ცეცხლი. აფთიაქისა და მკურნალობის ხელის შემშლელია ჯერ კიდევ ძირ-ამოუფხვრელი ჩვეულება, მკითხაობა. მცხოვრები ავადმყოფის პირველ მისაშველად მკითხავთან მირბის და თუ მკითხავმა ვერა უშველა-რა, მაშინ ექიმს იწვევს. ამ დროს-კი ავადმყოფს ნახევარი გზა საიქიოსკენ უთუოდ გავლილი აქვს ხოლმე.

ლეონტი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 **ოქტომბერი**

პეტერბურგი. 5 ოქტომბერს ცნობილი არტისტი-ქალი სტრეპეტოვისა გარდაიცვალა.

კოლომნა. საერობო კრებამ მიიღო საბჭოს მოხსენება ცენზის შემცირების შესახებ, მსხვილ მემამულეთათვის 15,000 მანეთამდის, წვრილთათვის 10 დესეტინამდის.

ნ. ვგოროდი. ნეკრასოვის სახელზე დაარსებული უფასო სახალხო ბიბლიოთეკა გახსნეს დიდის ამბით.

მურომი. საერობო კრებამ დაადგინა, შეამცირონ ცენზი მემამულეთათვის 125 დესეტინამდის, ქონების შეფასებით 10 ათას მანეთამდის.

სლობოდსკოი. საერობო კრებამ გადასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ, შეამცირონ ცენზი საადგილ-მამულო 250 დესეტინამდის და ქონებისა 7,500 მანეთამდის, მიეცეს მემამულე გლეხს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო კრებებში და თითო საზოგადოებას თითო ხმოსნის არჩევის უფლება. კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ გლეხებს მიეცეს ხმოსნების არჩევის ნება საერობო დებულების მე-17 მუხლის ძალით.

პარიზი. იტალიის მეფე-დედოფალი გაემგზავრნენ.

პეკინი. „ტიმეს“-ის განცხადება აქაურ ინგლისის მისიის აფეთქების შესახებ ტყუილია.

ბარი. რუსეთის კონტრ-მინონოსცები „ბეზუპრეჩნი“ და „ბისტრი“ პორტ-არტურში გაემგზავრნენ.

ტიანძინი. იოკამნაში რუსეთის ფორტი აშენდა, მეორე შენდება; რუსები იმ ადგილების საზღვარს, რომელიც იჯარით ჰქონდათ აღებული, აფართოვებენ სამხრეთით ტაიანიდან. პორტ-არტურში სამხედრო სამზადის დიდის ამბით განაგრძობენ. მოვიდა ტრანსპორტი საქონლისა.

ვეიხაივეი. გვაცნობებენ, იაპონიამ პინიანის ნაპირებზე გადმოსხა ჯარი. რუსეთისა და იაპონიის ელჩების მოლაპარაკებამ უსარგებლოდ ჩაიარა.

პარიზი. სადგურზე დამშვიდობების დროს მეფემ უთხრა პრეზიდენტს, იმედი მაქვს, ჩქარა მექნება შემთხვევა მივიღო რომში პრეზიდენტი.

სოფია. ოპოზიციის მეთაურთა მიერ გამართულ გულითად შეხვედრის შემდეგ ესკი-ზაგრაში სტამბულოვის მომხრეებმა ჩხუბი ასტეხეს, ისროდნენ რევოლვერებს. მინისტრათ ნამყოფი დანევი დაშავდა ჩხუბში, ბევრი დაშავდა და ერთი მოკვდა.

მეშხედი. ავღანელების მიერ შევიწროვებისა გამო ბერბეროვის ტომის 100 მოსახლე გავიდა ავღანისტანიდან და სპარსეთში მივიდნენ, სადაც გამოეცხადნენ რუსეთის კონსულს და სთხოვეს, იშუამდგომლოს, რომ ნება მისცენ მათ კასპიის მხარეში დასახლებისა და მიიღონ რუსეთის ქვეშევრდომებად.

პეტერბურგის ბირჟა, 3 **ოქტომბერი**

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,60	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37,62^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	$5-6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$95^1/_8$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	446	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$336^1/_4$	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	285	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$93^3/_4$	„
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$91^1/_4$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	193	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

სიცოცხლისა და შემოსავლის დამზღვევ

საგენერალო საზოგადოების

ამიერ-კავკასიის ოლქის გამგეობა (ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახ. ოქოევისა, ტელეფ. № 429) აუწყებს ყველას, რომ საზოგადოების მთავარ აგენტებად არიან:

ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიაში—ალექსანდრე იოსების ძე კრინიცკი (ქუთაისი, ორპირის ქ., სახ. დარახველიძისა).

ბათუმსა და ბათუმის ოლქში მანუკ სიმონის ძე ჩილინგარიანი (ბათუმი, კანტ. ძმ. ჩილინგარიანებისა, მარ. პრ., საკ. სახლი.)

(2—162—1).

ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში

1 ნოემბრიდან ქირავდება

4 ოთახიანი ბინა.

პირობები იკითხეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში. (უ. 3—1)

ბათუმში

ექიმი-ქალი ფავიცკაია

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. მარიინსკის ქუჩა, ს. ანანიევისა, სახელმწ. ბანკის განყოფილების პირდაპირ.

(4—1741—2)

ქუთაისში

სამ. ი. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

პ. ი. ავსარქისოვის

ბაღში

იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავ. რკინის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გაეგზავნებათ. (10—143—4)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв ценз. Тифлисъ 6 Октября 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва).